ომერ სეიფედინი(1884-1920) - „მემკვიდრეობა“

ნატო ხარშილაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
საქართველო, 0179, თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზირი №1,
+995551424252, nkharshiladze@cu.edu.ge
https://orcid.org/0000-0001-8366-8820

აბსტრაქტი

ომერ სეიფედინი დაიბადა 1884 წელს თურქეთში, ქ.ბანდირმაში. გარდაიცვალა 1920 წელს ქ.სტამბოლში. იყო მოთხრობების მწერალი, რომანისტი, მასწავლებელი და ოფიცერი. ის ითვლება ერთ-ერთ უდიდეს თანამედროვე თურქ ავტორად.

სეიფედინი სწავლობდა ედირნისა და კონსტანტინოპოლის სამხედრო სასწავლებლებში, შემდეგ კი ჯარში მსახურობდა. მიიღო მონაწილეობა ბალკანეთის ომებში(1912-13წწ.). სამხედრო სამსახურიდან წასვლის შემდეგ მან თავი მწერლობასა და სწავლებას მიუძღვნა. ლიტერატურული მოღვაწეობა 1908 წლიდან დაიწყო. სეიფედინი წერდა უნიკალური სტილით. ნაწარმოებებში მოთხრობილი ამბები პირადი გამოცდილებიდან, ისტორიიდან და პოპულარული ტრადიციებიდან აიღო. სასაუბრო ენის გამოყენებამ მის მოთხრობებს ნათელი და მომხიბვლელი სხივი შესძინა. ის იყო პოპულარული და ფართოდ წაკითხვადი ავტორი, აბსოლუტურად დამოუკიდებელი თავისი დროის ლიტერატურული მოძრაობებისგან. სეიფედინის ნაწარმოებები მოი-

ცავს თემების ფართო სპექტრს: სატირებს, პოლემიკურ დრამებს, კომიკურ სიტუაციებს და სოციალურ კომენტარებს. მისი ნაწარ- მოებები თარგმნილია სხვადასხვა ენებზე, მათ შორის ქართ- ულად.

სკვანძო სიტყვები: მემკვიდრეობა; გონება; ღალატი; ეშმაკი; გულწრფელი.

თურქულიდან თარგმნა ნატო ხარშილაძემ

„მემკვიდრეობა“

ვფიქრობ, არაფერია ამქვეყნად იმაზე მეტად მტკივნეული, ვიდრე საკუთარი თავის სი- ძულვილი! მყისვე ვშორდებით მეგობარს, როცა მის სისაძაგლეს და პირფერობას ვიგრძ- ნობთ, რომლის როლები და ტყუილები წლების განმავლობაში თვალს გვიხვევდა. სიყვა- რულშიც ხომ ასეა... სხეულზე, რომელსაც კერპივით ვეთაყვანებით, აღმოვაჩენთ თუ არა ნაკლს, მის მიმართ მაშინვე ვცივდებით და მტრულადაც განვეწყობით. მაგრამ, რა შეგვი- ძლია ვუყოთ საკუთარ თავს?! არაფერი! რა უნდა ქნა, როცა სიკეთის, ჭეშმარიტების, მშვე- ნიერების ამაღლებული იდეალები, რომელსაც ზნეობის გრძნობა ანთებს ადამიანის სულ- ში, თანდათან იფერფლება?! ამ სამი ცეცხლოვანი ჩირაღდანიდან რომელიმე თუ ჩაქრა ჩვენ- ში, მყისვე პირუტყვად ვიქცევით. და რა მძიმეა ცხოველის ყოფა?! ცხოვრება მხარდაჭერის, მიზნის, სიყვარულის, სიწმინდის გარეშე, სადაც არ არის მართალი, არც კეთილი, არც ლამა- ზი... აი, დღეს ჩემს სულში ღვთაებრივი ჩირაღდანი ჩაქრა! მაწანწალა, სევდიანი, პირუტყვი ვარ! ადამიანური ღირებულებები რომ დაკარგა, ის საწყალი არსება ვარ! ჩემი ნება არ იყო ამ უკუნეთში მოხვედრა. შემიძლია ვთქვა, ჩემდაუნებურად მოხდა ეს ყველაფერი.

ამ ათიოდე დღის წინ...

იმ ღამეს ბიძაჩემის სახლში მეძინა. როგორ მოხდა, რომ უცებ დავკარგე ადამიანობა?! რო- გორ ჩავვარდი ჯოჯოხეთში ისე, რომ სამოთხეში ვეღარასდროს დავბრუნდები?! როგორ, როგორ?!..

ბიძაჩემმა, იმ დღიდან, რაც მისი ვაჟი ნიჰათი ჩანაქქაქალეში გმირულად დაეცა, მე მიშ- ვილა, მის ადგილას დამაყენა. შარშან ბიცოლა გარდაიცვალა - შვილზე დარდს გადაჰყვა. ახლა ეს უბედური კაცი თავის მსახურებთან ერთად სასახლის მსგავს უზარმაზარ სახლში ცხოვრობს. ხანდახან დავდივარ მასთან სანახავად. ყველაზე კეთილი, სათნო, პატიოსანი ადამიანი, ვინც კი ოდესმე მცნობია, ბიძაჩემია. მამისგან მემკვიდრეობით მიღებული დიდ- ძალი ქონება ძმასავით ფუქსავატურ გართობა- დროსტარებაში არ გაუფლანგავს, პატიოსნად ემსახურა თავის ქვეყანას: ხან კაიმაკამად, ხან მუთასარიფად მუშაობდა, ხან კი - ვილაიეთის მმართველის თანამდებობა ეკავა. ჩვენ, ახალგაზრდები, ვერც კი ვხვდებით, როგორი მცოდ- ნე- შემფასებელია ხელოვნებისა და პოეზიის. მისი აზრით, პოეზიის კრებულები ლექსთა ერთობლიობა კი არ არის, არამედ წმინდა აზრი იმალება მათში, ღაზელებისა და ყასიდების სტროფებსა და რითმებში ღვთიური, იდუმალი სიკეთე სუფევს.

ფიჭვებს შორის აშენებული ბიბლიოთეკა დღის ბოლოს საიდუმლო ტაძარს ემსგავსება... ბიძაჩემი დღის ნახევარზე მეტს აქ ატარებს: წიგნებს მტვერს აცლის, ყდებს სათუთად ეფე- რება და გულმოდგინედ უვლის.

როგორც ყოველთვის იმ დღესაც კარი მსახურმა გამიღო:

-ბატონი ბიბლიოთეკაშია, თუ გსურთ, იქ მიბრძანდით!

ბიბლიოთეკისკენ მიმავალ ბილიკზე მივაბიჯებდი. ვუყურებდი მინდორს, რომელსაც ფოთოლგაცვენილ ხეებქვეშ სიმწვანე ჯერ კიდევ შერჩენოდა. ბიბლიოთეკის ტყვიის ფურც- ლით გადახურული თასის ფორმის გუმბათი რაღაც შეუცნობელ სევდას აღმიძრავდა ხოლ- მე. მწვანედ შეღებილი რკინის ანჯამები ღია იყო. კარისკენ გავემართე. ძველი ურდულის ქვეშ საკეტში სპილენძის ყვითელი გასაღები იყო გაჩრილი, მაგრამ მე

თითით ფრთხილად დავაკაკუნე, არ გაუგია; ცოტა უფრო ძლიერად დავაბრაგუნე. მსახური ვეგონე:

- რა ხდება, მეჰმედ?

- მეჰმედი არა, ბიძაჩემო, მე ვარ...

- ...

კარი გაიღო. ბიძაჩემი თავისი თოვლივით თეთრი წვერით და სქელი, ოქროსჩარჩოიანი ძვირფასი სათვალით, რომელიც მის ცისფერ და დაღლილ თვალებს უფრო დიდს აჩენდა, საფლავიდან ცოცხლად ამოსულ წმინდანს ჰგავდა. ხელზე ვაკოცე.

- მოდი, შემოდი, ერთი ძვირფასი საგანძური უნდა გაჩვენო.

- აბა, მაჩვენეთ, - მივუგე მე.

ფეხსაცმელი გავიხადე, როგორც მეჩეთში შესვლისას... ოთახის წითელი ჩუსტების რამ- დენიმე წყვილიდან ერთი ავარჩიე და ჩავიცვი. ბიძაჩემს აქლემის ბეწვისგან მოქსოვილი საშინაო ხალათი ეცვა.

მაგიდასთან დავსხედით. მან გადაშლილი წიგნი გამომიწოდა:

- ნამდვილი საუნჯეა, ბადალი რომ არ ჰყავს ისეთი საგანძურია.

ეს „საგანძური“ ტალახში ჩავარდნილ მედუქნის გაქონილ საანგარიშო დავთარს ჰგავდა. ყალბადაღელვებული გამოვიყურებოდი.

- მართლაც დიდებულია!

- გუშინ მომიტანეს. შენც თუ ასე მოგწონს, რას ფიქრობ, რამდენი გადავიხადე?

- ორი ლირა.

გაოცებული მომაშტერდა და მომახალა:

- გაგიჟებულხარ, შვილო!

დავიბენი და სიტუაციის გამოსწორება ვცადე:

- ყდა საკმაოდ ძველი და გაცვეთილი აქვს, მაგან შემაცდინა, ხუთ ლირას მისცემდით.

- რას ამბობ, შვილო, რის ხუთი ლირა! - წამოიყვირა მან, - „დაფი ალგუმუმია“, დელი ბირადერის იგავების კრებული. ეს ხომ ბრწყინვალე კოლექციაა. სხვა ეგზემპლარი სტამ- ბოლში არ

არის. შესაძლოა მთელ მსოფლიოში არც იყოს ამის ბადალი! იქნებ თავად მეჰმედ ღაზელის ხელნაწერიც კი იყოს...

- რამდენი მიეცით?

- ას ოთხმოცი ლირა...

- ძალიან კარგი! - შევუქე მე.

ხელნაწერი ბატიფეხური იყო; ყდა და ნაპირები ისე ჰქონდა შემოცვეთილი, თითქოს ვირთხამ შემოაჭამაო, მოოქროვილი ნაქარგებიც საკმაოდ გასცვეთოდა. მე ვიდრე ამ დაფლეთილ წიგნს ვათვალიერებდი, ბიძაჩემმა ახლახან შეძენილი „საგანძურების“ გადმოლაგება დაიწყო და სათითაოდ მაგიდაზე დებდა:

-შენ ეს არ გინახავს, არც ეს. რამდენიმე დივანი, ისტორიული წიგნი და თარგმანი გადმოალაგა. თითოეულს ძველი, ობიანი საფლავის ნესტის სუნი მოჰყვებოდა თითქოს. რაც მარტო დარჩა ბიძჩემი, ცხოვრება ბიბლიოთეკას მიუძღვნა. კმაყოფილი იყო ჩემი პოეზიითა და ხელოვნებით გატაცებით, მოსწონდა ჩემი ლექსები და ხშირად მეტყოდა ხოლმე: „მე ვა- მაყობ შენით!“. თუმცა, ახალ მწერლებს, ახალ პოეტებს, და თანამედროვე ცხოვრების ამსახ- ველ წიგნებს და ხელნაწერებს არ აჭაჭანებდა თავის ბიბლიოთეკაში. წიგნების თვალიერე- ბით დაღლილი თვალები მოჭიქული ფილებით მოპირკეთებულ კედლებზე ავაპარე, წიგ- ნებზე იაფი არც ეს ნახელავი დაჯდებოდა, თუმცა მათზე წარწერების ამოკითხვა შეუძლე- ბელი იყო.

გუმბათის შუაში დაკიდებული ბროლის ჭაღი თავისი მოოქროვილი ჯაჭვით იმდენად დი- დი იყო, რომ ბიბლიოთეკის მოკრძალებულ სიმშვიდეს და მყუდროებას არღვევდა. ბიძაჩემ- მა ყასიდის კითხვა დაასრულა და მე მომიბრუნდა:

- იცი, შვილო, ჩემი ბიბლიოთეკის ყიდვა უნდთ?!

- ვის?

- არ გეცოდინება, აღმოსავლეთმცოდნეები არიან.

- რამდენს იხდიან?

- ჯერ ათი ათასი ლირა მაძლიეს. უარი რომ ვუთხარი, თხუთმეტზე ავიდნენ, შემდეგ ოცი ათასიც შემომთავაზეს.

- რას ამბობთ?
- ოცდახუთსაც მომცემენ.
- არც იფიქროთ, ბიძაჩემო, გაყიდეთ.
წიგნს, რომელსაც კითხულობდა, თვალი მოსწყვიტა და მე შემომხედა. ისეთი საყვედური, ისეთი ჩივილი იყო ამ გამოხედვაში...
- ჩემი ბიბლიოთეკა გავყიდო? მე რაღა ვქნა მერე, რა ვაკეთო?
- ...
თავი კვლავ წიგნებში ჩარგო. სახეზე გაბრაზება, წყენა და სიბრალური ერთად გამოეხატა:
-იმ ქვეყნად როცა გამისტუმრებთ, მაშინ გაყიდეთ. მე საფლავში, ჩემი ბიბლიოთეკა კი - აუქციონზე, - ნაღვლიანი კილოთი თქვა და თავი გააქნია.
ხმა არ ამომიღია. წიგნი ავიღე და მოვაჩვენე თავი, ვითომ ვკითხულობდი. არ ვიცი რამდენ ხანს ვიყავით ჩუმად, მე დიდხანს მომეჩვენა. თვალებს სტრიქონებს ვავლებდი და თან ოც- დახუთი ათას ლირაზე ვფიქრობდი. ეს პატარა ქონება არ იყო, რომელიც ადრე თუ გვიან ჩე- მი გახდებოდა, რადგან ბიძაჩემს ჩემ გარდა მემკვიდრე არ ჰყავდა. უკვე სიკვდილის გზაზე დამდგარმა მოხუცმა თავის სიცოცხლეში ბევრი რამის გაკე-თება მოასწრო, განა აწი რამდენ ხანს იქნებოდა წუთისოფლის სტუმარი?!
-რამდენიმე წელი კიდევ... ჰა, ხუთი წელი იყოს... უკვდავების წყალი ხომ არ აქვს დალე- ული? - ვფიქრობდი ჩემთვის.
ნეტავ, ვინ იყვნენ ის აღმოსავლეთმცოდნეები? ის იყო კითხვის დასმა დავაპირე, რომ ბო- ლო წამს გადავიფიქრე, ენას კბილი დავაჭირე. მეშინოდა მისი გონიერი თვალების, რომლე- ბიც სათვალის მინის ქვეშ უფრო დიდი, ცისფერი და კაშკაშა ჩანდა. მეგონა, რომ მაშინვე გა- იგებდა ჩემს ჩანაფიქრს.
ამ მემკვიდრეობამ, რაზეც აქამდე არასდროს მიფიქრია, უცებ აავსო ჩემი ყველა ოცნება. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს თავი გამისივდა და თავბრუ დამეხვა. ვერ ვიაზრებ-

დი, რაზე ველაპარაკებოდი ბიძაჩემს. ბიბლიოთეკიდან გამოვედით. მისაღებ ოთახში შევე- დით და საჭმელად დავსხედით. რომანის პერსონჟივით ვგრძნობდი თავს. ბიძაჩემი დრო- დადრო:

- შვილო, დღეს რაღაც გაფანტული ხარ, რა დაგემართა?

ვიდრე მაგიდას ვუსხედით და ვსადილობდით, ჩემი გონება, როგორც მანქანა, ისე მუშაობ- და, ფიქრობდა და გეგმებს აწყობდა. ეს ყველაფერი კი თითქოს ჩემი სხეულის, სულის და ჩემი ნების მიღმა ხდებოდა. თავში გაჩენილ იდეებს ვერ ვაკონტროლებდი და გავჩუმდი. ას- ეა, ასე... ეს საცოდავი მოხუცი უეჭველად საიქიოს გზას გაუდგება... ბიბლიოთეკა ოცდახუ- თი ათასი ლირა ღირს... სახლი, ბაღი, ფაიქფაშას აღმართზე კიდევ ერთი ბინა... სამოცდათი-ოთხმოცი ათასი ლირაც ესენი იქნება, ესეც შენი ასი ათასი ლირის ქონება! მთელი სიმდიდ- რეა! აქ რაღა მაცხოვრებს?! ევროპაში წავიდოდი, ამოვისუნთქავდი და სიამოვნებით დავტკ- ბებოდი ცხოვრებით. მაგრამ თუ ეს მოხუცი ცოლის მოყვანას გადაწყვეტს ან რამე ეგეთი?.. შესაძლებელია განა?

ეშმაკის მკვეთრი ხმა ჩამესმა გონებაში:

- რატომაც არა?!

- წარმოუდგენელია, წარმოუდგენელი, - გამოვცერი კბილებში.

- შეუძლებელი არაფერია! შეიძლება ხვალვე მოულოდნელად გაიგო, რომ ბიძაშენი ცოლს ირთავს!..

- საშინელებაა...

- რა თქმა უნდა, საშინელებაა...

- არა, მართლაც თუ ითხოვს ცოლს...

- ამაში ეჭვიც არ შეგეპაროს. მაშინ სიზმარშიღა ნახავ იმ შენ ასი ათას ლირას!

- მაშ?

კვლავ ჩამორეკა ეშმაკის ხმამ ჩემს გონებაში:

- ამის ალბათობა თავიდან უნდა აიცილო! - დაუნდობელი და მუხანათური ბრძანება იყო...

- როგორ შემიძლია თავიდან ავიცილო ასეთი უბედურება?! დიახ, ეს ნამდვილი უბედურება იქნებოდა, თუკი თითქმის ჩემს ხელთ არსებულ ასი ათას ლირას დაუდევრობით ხელიდან გავუშვებდი...

ბიძაჩემს შევხედე. პატარა კოვზით ფლავს მიირთმევდა. სპეტაკი წვერის შიგნით თეთრი, გამხდარი ყელი მოუჩანდა... იმ თეთრ ყელს ორი-სამი წუთი ხელები მოუჭირე და.. ასი ათა- სი ლირა შენია...

-მაგრამ?..

ეშმაკის ხმა, რომელიც შხამიან ელვასა და ცეცხლს ტოვებდა ჩემ სულში:

- სულელი ხარ! რისი გეშინია?

- მეშინია.

- არა, ნუ გეშინია! შენ ჩვეულებრივი მკვლელივით ბიძაშენს ყელში არ ეცემი და არ დაახრ- ჩობ.

- აბა როგორ მოვიქცე?

- ისეთ რამეს გააკეთებ, რომ მართლმსაჯულება დანაშაულს ვერ დაგიმტკიცებს.

- როგორ?

- შენ მეგობარს, ბაქტერიოლოგ საბითს, ტიფის მიკრობებს მოჰპარავ.

- მერე?

- ამ მიკრობებს ბიძაშენი ღამით რომ წყალს სვამს იქ ჩააგდებ. ტიფი თუ დაემართა, სანამ ექიმი მის განკურნებას ეცდება, შენ წამლის მაგიერ მაინც მიკრობებით მოწამლული წყალი ასვი. ერთ კვირაში აუცილებლად მოკვდება. ყველასთან ერთად შენც იტირებ. გასვენების დღეს ცხედარს წინ გაუძღვები, ვერავინ შეიტანს ეჭვს შენში! პირიქით, შენს მწუხარებას გა- იზიარებენ და მოგისამძიმრებენ.

- ოჰ!..

- ...

უცებ გამოვცოცხლდი. თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი ჩამოვიხსენი.

თვალები გავახილე. ბიძაჩემი ვაშლს ფცქვნიდა. ჯერ კიდევ არ მესმოდა, რას მელაპარა- კებოდა, მხოლოდ ეს გავიგონე:

-ჩემო სიამაყევ!

უკვე გვიანი იყო. საწოლ ოთახში ავედი. ჩემს გონებაში ჩასახული მკვლელობის გეგმა თანდათან მწიფდებოდა. საწოლზე ჩამოვჯექი. მაგიდაზე ანთებული სანთლის შუქი კედ- ლებზე უფორმო ჩრდილებს ამოძრავებდა. ასი ათასი ლირა!.. თვალი კარადის სარკისკენ გა- მექცა. საკუთარი თავის მოჩვენება მომშტერებოდა. თმა ყალყზე ედგა, თვალები გიენასავით ჩასისხლიანებოდა. თვალი მოვარიდე, რომ აღარ შემეხედა.

იმ ღამეს საერთოდ არ მიძინია. სარკისკენ ვერ ვიყურებოდი, რომ საკუთარი თავი არ და- მენახა. დიახ, მე მკვლელი ვიყავი, ბოროტმოქმედი. ყველანაირი მორალური და ეთიკური გრძნობისგან დაცლილი. დილამდე ვუსმენდი ეშმაკის ნარატივს, რომელიც ჩემს გონებას მბრძანებლობდა:

- ნუ ყოყმანობ!

- არა, არა, ამას არ ჩავიდენ!

- ჩაიდენ!

- არა-მეთქი!

- ასიათას ლირას დაკარგავ!

- ჯანდაბას, დაიკარგოს!

- შენ გიჟი ხომ არ ხარ?!

- ...

- არა, სულელი არ ვარ, მაგრამ...

დილაადრიან ბიძაჩემთან ჩავედი. საწყალი მოხუცი აივანზე იჯდა და რძეს სვამდა. ჩემდა სამწუხაროდ ამაყი ღიმილით შემეგება:

-რა დაგემართა? ფერი არ გადევს, შეუძლოდ ხარ?

- არა, ნორმალურად ვარ.

- მშვიდად გეძინა?

-კი.

უეცრად ვეცი და ხელებზე კოცნა დავუწყე. თვალებიდან ცრემლები მცვიოდა. იმ ავაზაკს ვგავდი, რომელიც

მის მიერ მოკლული წმინ- დანის გვამის წინაშე ცოდვას ინანიებდა. ადამიანს აღარ ვგავდი.

- თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს! - დავიყვირე მე. ასეთ უჩვეულო მდგომარეობაში ბიძა- ჩემმა პირველად მნახა, არ იცოდა რა ეთქვა. ის ვერ ხვდებოდა იმ დარტყმას და სულიერ გა- კოტრებას, რომელიც ეშმაკმა ჩემს არსებას მიაყენა.

- რა ხდება, შვილო, გამაგებინე, რა ხდება?

- არაფერი! ჯერ დამპირდით, რომ უეჭველად შემისრულებთ.

- მითხარი რა გინდა?

- პირობა მომეცით!

ხელები გაშალა:

- კარგი, თქვი, გპირდები! - თქვა მან.

- მე ხომ თქვენი ერთადერთი მემკვიდრე ვარ?

- უეჭველად.

- ჰოდა, მინდა მთელი თქვენი ქონება, თქვენსავე სიცოცხლეში, ეროვნულ ორგანიზაციებს უანდერძოთ...

- მაგრამ, რატომ?

- მე ასე მინდა.

- გავიგე, მაგრამ რისთვის?

- ...

მინდოდა, ყველაფერი მეამბნა, წუხელ უხილავი და ვერაგული იარაღით როგორ ვგეგმავ- დი მის მოკვლას, რომ რაც შეიძლება მალე მიმეღო ასი ათასი ლირა. მაშინ ის ჩემს ნამდვილ შინაგან მეს ამოიცნობდა და ახლა იქნებ ცოტა უფრო მშვიდად ვყოფილიყავი. მაგრამ არა, გამბედაობა არ მეყო, სიმართლე ვერ ვუთხარი. შესაძლოა, ტვირთი სინდისის ქენჯნისა შემ- მბუსუქებოდა კიდეც. მაგრამ ვერ გავბედე და ჩემს ჭუჭყიან, საძაგელსა და ბილწ მორალს სათნოების ის ფარდა ჩამოვაფარე, რომელიც საერთოდ არც კი გამაჩნდა და ტყუილების ამოთქმა დავიწყე:

-ჯერ ახალგაზრდა ვარ. შესაძლოა, ეს ძვირადღირებული ბიბლიოთეკა ისეთ პირზე გავყი- დო, რომელიც მას

სამშობლოდან გაიტანს. მე კი მინდა, რომ ეს ფასდაუდებელი მემკვიდრე- ობა ჩემს ერს დარჩეს!

- ძალიან კარგი! ბიბლიოთეკა ჩვენს ერს მივცეთ, მაგრამ მთელი ჩემი უძრავი ქონება?

-არც ეგ მინდა, ბიძაჩემო... იმდენი ავადმყოფი, ქვრივი, ობოლი, მიტოვებული და უქო- ნელია, იმდენ ადამიანს სჭირდება ცრემლების მოწმენდა, ჭრილობაზე სალბუნის დადება, თანადგომა და ნუგეში!..

- ...

ამას რომ ვამბობდი, ბიძაჩემი დიდი ყურადღებით მისმენდა და გაოცებული, მოხიბლუ- ლი შემომცქეროდა. საცოდავი... აბა, რა იცოდა, რაოდენ მდაბალი ქმნილება იდგა მის წინა- შე. გასწორდა, გულში ჩამიკრა და შუბლზე მაკოცა:

-ვამაყობ შენით!..

***

დიახ, ადამიანობის იდეალი და ის სამი ზნეობრივი ჩირაღდანი სამუდამოდ ჩაქრა და ჩა- იფერლა ჩემს სულში. ერთ ღამეში საშინელ და საზარელ მკვლელად ვიქეცი. მე ახლა წყვდი- ადით მოცულ უდაბნოში ვიმყოფები. ერთი საბრალო, იმედდაკარგული პირუტყვი ვარ! ვე- ღარასოდეს დავუბრუნდები ადამიანურ სამოთხეს - სიკეთის, ჭეშმარიტებისა და მშვენიერე- ბის სამოთხეს. ეს საბრალო მოხუცი კი, რომელიც უსინდისოდ მოვატყუე, ჩემს მსგავს მდა- ბალ, მხდალ, არსებებს კვლავ სათნო ადამიანებად მიიჩნევს და ეტყვის:

- ჩემო სიამაყევ!